მოგონება

I

მახსოვს, პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე გამამზადეს.
მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
და შინაურად მე გამომცადეს.
ჯერ "ანინ მკითხეს და მერე ნნარინ
მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი.
რა-კი დარწმუნდნენ არა ვიცოდი.
მაშინ-კი ჩუმად გამიღეს კარი
და მითხრეს: "რადგან აქ არ ისწავლე,
სასწავლებელში წადი, იწვალე,
იქ გაჩვენებენ შენს თვალის სეირს,
თუ ეს სიცელქე არ მოიშალენ

II

ვხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,
დაღონებული მწარედ ვსტიროდი,
მაგრამ არავის ვებრალებოდი...
მხოლოდ ეს მახსოვს, - გამომყვა დედა
და მითხრა: "შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ჭირი?
გიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება,
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...

III

მეცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, -
კარგია, შვილო, სწავლის შეძენა,
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა.
მერწმუნე, რომა გამოცდილია.
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის

ყოველი შრომა დაკარგულია
გეზარებოდეს ყველასთან შური
და როცა შეგხვდეს კაცი უძლური,
იცოდე, რომ ის შენი ძმა არი, -
არ დაუკავო ღვინო და პური...

IV

"გიყვარდეს შენი მოძმე კეთილი
და მისთვის მუდამ გეწოდეს გული, -
შენს მოძმეთ შორის და შენს მიწაზე
გერჩიოს იყო შენ დამარხული:
ტანი უსულო და უგრძნობარე
თუ გინდ შინ იყოს და თუნდა გარე,
მაგრამ როგორღაც, დედაშვილობამ,
სანატრელია სამშობლო მხარენ.

V

.
ამ სიტყვებითა დედაც მომშორდა,
და ეს მას აქეთ დამამახსოვნდა, -
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა,
თვალთაგან ცრემლებს ფრქვევა გაჰქონდა.